

# საქართველოს კანონი

## საქართველოს ტყის კოდექსი

ტყე ბუნებრივი გარემოს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობის უმთავრესი ელემენტია. მას განსაკუთრებული ადგილი უკავია ბიოსფეროს სტაბილურობის რეგულირებაში, აგრეთვე სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში.

### კარი I

#### ზოგადი დებულებანი

### თავი I

#### ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს ტყის კოდექსის რეგულირების საგანი

საქართველოს ტყის კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტყის ფონდის და მისი რესურსების მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს ტყის ფონდის მოვლის, დაცვის, აღდგენისა და გამოყენების სფეროში

საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს ტყის ფონდის მოვლის, დაცვის, აღდგენისა და გამოყენების სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, "გარემოს დაცვის შესახებ", "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ", "ცხოველთა სამყაროს შესახებ", "წყლის შესახებ" საქართველოს კანონების, მიწის კანონმდებლობის, ამ კოდექსის და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 3. საქართველოს ტყის კოდექსის მიზანი

საქართველოს ტყის კოდექსის მიზანია:

ა) ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა და კანონიერების განმტკიცება სატყეო ურთიერთობების სფეროში;

ბ) ტყეების მოვლა, დაცვა და აღდგენა კლიმატური, წყალმარეგულირებელი, დაცვითი, კულტურული, გამაჯანსაღებელი და სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის;

გ) თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, მათ შორის, მცენარეული საფრისა და ცხოველთა სამყაროს, ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტის, ტყეში არსებული კულტურისა და ბუნების ძეგლების, მცენარეთა იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და სხვათა

მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და დაცვა, მათი ჰარმონიული ურთიერთგავლენის რეგულირება;

დ) ტყითმოსარგებლეთა უფლებებისა და მოვალეობების დადგენა სატყეო ურთიერთობების სფეროში;

ე) ტყის რესურსების მეცნიერულად დასაბუთებული შესაძლებლობების საფუძველზე მათი მიზნობრივი, კომპლექსური და რაციონალური გამოყენებით საქართველოსა და მისი მოსახლეობის ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;

ვ) ტყის მეურნეობის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა.

მუხლი 4. საქართველოს ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპები

საქართველოს ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპები ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, "მდგრადი განვითარების სატყეო პრინციპების შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის დეკლარაციას და "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულ პრინციპებს.

მუხლი 5. კოდექსში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ტყე - გეოგრაფიული ლანდშაფტის ნაწილი, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით ტყისთვის მიკუთვნებული ხეების, მათი გავრცელების არეალში მოქცეული მიწის, აგრეთვე ბუჩქების, ბალახების, ცხოველებისა და სხვათა ერთობლიობას, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებულნი არიან ბიოლოგიურად და გავლენას ახდენენ ერთმანეთსა და გარემოზე;

ბ) სახელმწიფო ტყე - სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ტყე;

გ) საქართველოს ტყის ფონდი - სახელმწიფო ტყის ფონდისა და საქართველოში საკუთრების სხვა ფორმებით არსებული ტყეების და მათი რესურსების ერთობლიობა;

დ) სახელმწიფო ტყის ფონდი - საქართველოს სახელმწიფო ტყის, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნებული მიწებისა და მისი რესურსების ერთობლიობა;

ე) სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდი - სახელმწიფო ტყის ფონდი, სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების გარდა;

ვ) ადგილობრივი ტყის ფონდი - სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ნაწილი, რომელთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ამ კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არეგულირებენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები;

ზ) ხის მეორეხარისხოვანი მასალები - მერქნიანი მცენარეების ფესვები, ქერქი, ლაფანი, ნეკერი, ძირკვი, ფიჩხი, თესლი, ტოტები;

თ) სატყეო ურთიერთობები - სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებისა და ტყითმოსარგებლობის დროს წარმოშობილი ურთიერთობები;

ი) ტყითმოსარგებლე - საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი პირი, რომელიც ახორციელებს ტყითმოსარგებლობას;

კ) ტყეთმოწყობა - სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემის შემადგენელი ნაწილი;

ლ) ტყეკაფი - საქართველოს ტყის ფონდის ტყის განსაზღვრული უბანი, რომელზედაც განსაზღვრულია მოსაჭრელი ხეების ოდენობა და მონიშნულია მოსაჭრელი ხეები;

მ) მოვლითი ჭრა - სატყეო-სამეურნეო ღონისძიება, რომელიც ხორციელდება ტყის სახეობრივი შემადგენლობის, სტრუქტურისა და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;

ნ) ხის უკანონო ჭრა - ხეების ნებართვის გარეშე მოჭრა;

ო) კორომი - მომიჯნავე ტერიტორიისგან შემადგენლობითა და სტრუქტურით მკვეთრად განსხვავებული ტყის ნაწილი;

პ) ტყის კულტურები - თესვით ან დარგვით გაშენებული ტყის მერქნიან სახეობათა ნარგავები;

ჟ) ვარჯშეუკვრელი კულტურები - ტყის აღდგენის მიზნით გაშენებული ტყის კულტურები ვარჯების ურთიერთგადაფარვამდე;

რ) დაცვითი ნარგაობა - ნიადაგის დაცვის მიზნით გაშენებული მერქნიან მცენარეთა ნარგავები;

ს) სატყეო უბანი - სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა ოპტიმალურად ორგანიზების მიზნით გამოყოფილი სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია;

ტ) ხე-ტყის დამზადება - ხეების მოჭრა, სამანქანო გზამდე მორთრევა და დახარისხება;

უ) ამოღებულია (8.04.2010 N 2919)

ფ) ტყის სუბალპური ზოლი - ტყის სუბალპური ზონის მიმდებარე 300 მეტრი სიგანის ტყის გავრცელების არეალი;

ქ) ჭალის ტყე - ვაკე რელიეფზე მდინარეების აუზში არსებული ტყეები;

ღ) ქვეტყე - მერქნიან და ბუჩქოვან მცენარეთა სახეობების ერთობლიობა, რომლებიც არ ქმნიან და არსებულ პირობებში ვერ შექმნიან კორომის ზედა საბურველს;

ყ) სერტიფიცირება - კომპეტენტური ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ტყის ეკოლოგიური მდგომარეობის, მისი რესურსების, ტყის დაცვის ღონისძიებების და სხვათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის აღიარება.

შ) ხე-ტყე - საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული მერქნული რესურსი; (17.05.2011. N4677 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)

ჩ) სოციალური ჭრა - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში არაკომერციული მიზნით, მოსახლეობის, საბიუჯეტო ორგანიზაციის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის) და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა პირების ხე-ტყით უზრუნველყოფისათვის შესაბამის ღონისძიებათა განხორციელება; (17.05.2011. N4677 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)

ც) მრგვალი ხე-ტყე (მორი) - ხე-ტყის დამზადების შედეგად (მათ შორის, მოთხრილ-მოტეხილისგან) მიღებული, 12 სმ-ზე მეტი (წვრილი ბოლოდან) დიამეტრის მქონე მერქნული რესურსი; (17.05.2011. N4677 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)

ძ) ხე-ტყის მარკირება - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ დადგენილი წესით მრგვალი ხე-ტყის (მორის) სპეციალური

ფირნიშის საშუალებით აღრიცხვა; (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

წ) სპეციალური ფირნიში – ფირნიში, რომელიც ადასტურებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მრგვალი ხე-ტყის (მორის) კანონიერ წარმოშობას და დადგენილი წესით აღირიცხება მონაცემთა ერთიან ბაზაში; (17.05.2011. N4677 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)

ჭ) სახერხი საამქრო – მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამამუშავებელი ობიექტი; (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

ხ) საკონტროლო ფირნიში – სპეციალური ფირნიშის განუყოფელი ნაწილი, რომელიც სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამამუშავების შემდეგ აღრიცხვა-ანგარიშების მიზნით, დადგენილი წესით უნდა წარედგინოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (შემდგომ – დეპარტამენტი). (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

## თავი II

### სატყეო ურთიერთობების ობიექტები და სუბიექტები

მუხლი 6. სატყეო ურთიერთობების ობიექტები

სატყეო ურთიერთობების ობიექტებია საქართველოს ტყის ფონდი და მისი რესურსები.

მუხლი 7. სახელმწიფო, როგორც სატყეო ურთიერთობების სუბიექტი

1. საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფოს სახელით მონაწილეობენ სამინისტრო, დეპარტამენტი, სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სატყეო სააგენტო (შემდგომ – ეროვნული სატყეო სააგენტო), სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცული ტერიტორიების სააგენტო (შემდგომ – დაცული ტერიტორიების სააგენტო), სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე – ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები. (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

2. სახელმწიფო ტყის ფონდთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს სახელით მონაწილე ორგანოების უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 8. სატყეო ურთიერთობების სხვა სუბიექტები

სატყეო ურთიერთობების სხვა სუბიექტები არიან საქართველოს ტყის ფონდის მესაკუთრე, საქართველოს საპატრიარქო და ის ფიზიკური და იურიდიული პირები,

რომლებიც სარგებლობენ საქართველოს ტყის ფონდითა და მისი რესურსებით ან ახორციელებენ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებს.

### თავი III საქართველოს ტყეებზე საკუთრების უფლება

მუხლი 9. საქართველოს ტყეებზე საკუთრების უფლება

1. საქართველოს ტყის ფონდის მესაკუთრე შეიძლება იყოს სახელმწიფო, საქართველოს საპატრიარქო, აგრეთვე ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი.

2. საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდი არის სახელმწიფოს საკუთრება და მისი განსახელმწიფოებრივების წესი დგინდება „საქართველოს ტყეების განსახელმწიფოებრივების შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. სახელმწიფო ტყის ფონდი და მისი რესურსები (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კერძო საკუთრებაში გადაცემული ტყეების გარდა) გაიცემა ფლობისა და სარგებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. ტყის მესაკუთრე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების ზოგადი უფლება-მოვალეობები

1. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების, როგორც ტყის მესაკუთრეების, ზოგადი უფლება-მოვალეობებია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლონ მათ საკუთრებაში არსებული ტყით;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღკვეთონ მათ საკუთრებაში არსებული ტყის ან მისი ნაწილის უკანონო მფლობელობა ან გამოყენება და ზიანის მიყენების შემთხვევაში მოითხოვონ მისი ანაზღაურება;

გ) სატყეო მეურნეობის წარმოებასთან დაკავშირებით იყოლიონ სპეციალისტები, კონსულტანტები და სხვა პერსონალი, მათ შორის, ტყის დაცვის მუშაკები იმ რაოდენობით, რომლის მინიმუმსაც ადგენს საქართველოს კანონმდებლობა;

დ) მიიღონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზომები მავნებლების, დაავადებების, ხანძრებისა და ტყეზე ყველა სხვა მავნე გავლენის მქონე ფაქტორების აღკვეთის ან ლიკვიდაციის მიზნით;

ე) განკარგონ მათ საკუთრებაში არსებული ტყე ამ კოდექსითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს დადგენილი წესით წარუდგინონ მათ საკუთრებაში არსებული ტყეების საერთო მდგომარეობის ამსახველი და სხვა აუცილებელი სტატისტიკური მონაცემები;

ზ) უზრუნველყონ ტყეებში რაციონალური მეურნეობის წარმოება;

თ) უზრუნველყონ სახელმწიფოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ მუშაკთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად აუცილებელი პირობები, წარუდგინონ მათ სატყეო მეურნეობის შესახებ ყველა საჭირო დოკუმენტი და შეასრულონ მათი კანონიერი მითითებები და მოთხოვნები.

2. საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული ტყის ფონდის ტერიტორიაზე საქართველოს საპატრიარქოს უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კოდექსის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფოსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის დადებული ხელშეკრულებით.

## კარი II სახელმწიფო ტყის ფონდის მართვა

### თავი IV სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის ზოგადი საფუძვლები

მუხლი 11. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში

სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება;

ბ) სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში საქმიანობის კოორდინირება;

გ) საქართველოს ტყეების მოვლის, დაცვის, აღდგენისა და ტყის რესურსებით სარგებლობის ორგანიზება და რეგულირება, სახელმწიფო კონტროლი და მის განსახორციელებლად სპეციალური უფლებამოსილების მინიჭება, ტყის რესურსებით სარგებლობის სანებართვო დოკუმენტების გაცემის წესის დადგენა;

დ) ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის, აგრეთვე ტყის რესურსების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესების დადგენა;

ე) სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარება, ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის შემუშავება და დამტკიცება, ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზება და დაფინანსება;

ვ) ეკოლოგიური კატასტროფებით, ეპიდემიებით და სხვა მიზეზებით დაზიანებული ტყის აღდგენა;

ზ) საქართველოს წითელი ნუსხის წარმოება;

თ) სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემის ორგანიზება, ტყის მონიტორინგისა და სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრის წარმოების წესის დადგენა;

ი) ტყეების მოვლის, დაცვის, აღდგენისა და ტყის რესურსებით სარგებლობის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადგენა;

კ) ტყეების დასაცავად ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებების გამოყენების კონტროლი;

ლ) ტყითსარგებლობის წესების დადგენა;

მ) ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების დაფინანსება და ამ მიზნით გამოყოფილი თანხების ხარჯვის კონტროლი;

ნ) ტყითსარგებლობის უფლების შეზღუდვის, შეჩერებისა და შეწყვეტის წესების დადგენა.

მუხლი 12. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში

სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ტყეების მოვლის, დაცვის, აღდგენისა და ტყის რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა;

ბ) ტყეების მოვლის, დაცვის, აღდგენისა და ტყის რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე ადგილობრივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

გ) ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების დაფინანსებაში მონაწილეობა და მათ მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვის კონტროლი;

დ) ამ კოდექსით დადგენილი წესით ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემა და ხელშეკრულების დადება;

ე) საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისთვის ტყითსარგებლობის შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის თაობაზე წინადადებების წარდგენა;

ვ) სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;

ზ) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების შეცვლის თაობაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსათვის წინადადებების წარდგენა.

მუხლი 13. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენცია ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში

ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ტყეების მოვლის, დაცვის, აღდგენისა და ტყის ხანძრებთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ადგილობრივი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

გ) ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაში მონაწილეობა და მათ მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვის კონტროლი;

დ) ადგილობრივი ტყის ფონდით სარგებლობის მიზნით ტყითსარგებლობის ბილეთის გაცემა;

ე) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისთვის ტყითსარგებლობის შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ წინადადებების წარდგენა;

ვ) სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;

- ზ) მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების უზრუნველყოფა;
- თ) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისთვის სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრების შეცვლის შესახებ წინადადებების წარდგენა;
- ი) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსი-ლებების განხორციელება.

## თავი V სახელმწიფო ტყის ფონდის ინსტიტუციური მართვა

მუხლი 14. სახელმწიფო ტყის ფონდის ინსტიტუციური მართვის მიხედვით დაყოფა სახელმწიფო ტყის ფონდი ინსტიტუციური მართვის მიხედვით იყოფა:

- ა) სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებად, რომლებიც მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ფარგლებში არსებულ და "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ ტერიტორიებს;
- ბ) სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდად, რომელიც მოიცავს ადგილობრივ ტყის ფონდსაც.

მუხლი 15. სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების და მათი რესურსების მართვა *(6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)*

სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებს და მათ რესურსებს მართავს დაცული ტერიტორიების სააგენტო.

მუხლი 16. სახელმწიფო ტყის ფონდის მართვა *(6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)*

1. სახელმწიფო ტყის ფონდს, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე არსებული ტყის ფონდის გარდა, მართავს ეროვნული სატყეო სააგენტო. *(25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)*

2. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, შესაბამისი სამსახურის მეშვეობით მართავს თვითმმართველი ერთეული.

3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე არსებულ ტყის ფონდს მართავენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები.

მუხლი 17. სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის მართვა

1. მიჩენილია სახელმწიფო ტყის ფონდის უბანი, რომელსაც, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილ შესაბამის ორგანოსთან ერთად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მართავს საქართველოს საპატრიარქო ან სახელმწიფო დაწესებულება.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილ უბანს გამოყოფს და საქართველოს საპატრიარქოს ან ამ უბნის მართვით დაინტერესებული სახელმწიფო დაწესებულების



შესაბამის უფლებამოსილებას ადგენს საქართველოს პრეზიდენტი, დაინტერესებული სახელმწიფო დაწესებულების ან/და ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი შესაბამისი ორგანოს მოტივირებული წინადადების საფუძველზე.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილ უბანს გამოყოფს და საქართველოს საპატრიარქოს ან ამ უბნის მართვით დაინტერესებული სახელმწიფო დაწესებულების შესაბამის უფლებამოსილებას ადგენს საქართველოს მთავრობა დაინტერესებული სახელმწიფო დაწესებულების ან/და ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი შესაბამისი ორგანოს მოტივირებული წინადადების საფუძველზე. *(06.09.2013. N1031 ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.*

3. სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის ტერიტორიაზე შეიძლება შეიზღუდოს ან მთლიანად აიკრძალოს ტყითსარგებლობა და მოქალაქეთა ტყეში ყოფნა, თუ ეს მიჩენილი უბნის გამოყოფის მიზანთან შეუთავსებელია.

4. სატყეო-სამეურნეო სამუშაოების წარმოების მიზნით მიჩენილ უბანს მართავს ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი შესაბამისი ორგანო საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და ამ მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით.

5. მიჩენილი უბნის გამოყენება იმ პირის მიერ, ვისთვისაც გადაცემულია ეს უბანი, დაიშვება მხოლოდ მიჩენის მიზნისა და სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და მოვლის ღონისძიებების განსახორციელებლად.

**6. ამოღებულ იქნეს** *(6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)*

## **თავი VI**

### **სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენა და დაყოფა**

მუხლი 18. სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენა *(6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)*

1. ამოღებულია *(11.03.2011. N4418)*

2. ამოღებულია *(11.03.2011. N4418)*

3. სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების საზღვრები დგინდება საქართველოს კანონით.

4. საზღვრის დადგენის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 19. სახელმწიფო ტყის ფონდის დაყოფა *(6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)*

1. სახელმწიფო ტყის ფონდი იყოფა:

ა) ტყით დაფარულ ტერიტორიად;

ბ) ტყით დაუფარავ ტერიტორიად.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ტერიტორიები დგინდება „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესით“, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

## თავი VII

თავი ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 20. ამოღებულია (6.07.2010. N3346)

მუხლი 21. ამოღებულია (6.07.2010. N3346)

მუხლი 22. ამოღებულია (6.07.2010. N3346)

## თავი VIII

### ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის სისტემა

(6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 23. სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვა 6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

1. სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვა მოიცავს:

ა) ტყეების მდგომარეობის, მათი სახეობრივი შემადგენლობისა და ხნოვანებითი სტრუქტურის დადგენას, რესურსების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას;

ბ) საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და იშვიათი, რელიქტური, ენდემური, შეზღუდული გავრცელების არეალის მქონე მცენარეების გამოვლენას;

გ) სახელმწიფო ტყის ფონდის ბიოლოგიურ, პათოლოგიურ და სხვა გამოკვლევებს.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვას თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე ახორციელებენ ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები. მათთან შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვა შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური ან იურიდიული პირის სახსრებით.

3. სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის წესი განისაზღვრება „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესით

მუხლი 24. სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობის დაგეგმვა (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

1. სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობის დაგეგმვა ხორციელდება ტყის აღრიცხვისა და ტყის მონიტორინგის საფუძველზე.

2. სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობის დაგეგმვა მოიცავს:

ა) 30 გრადუსიდან 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე ტყითსარგებლობის აუცილებელი მოთხოვნების დადგენას;

ბ) სახელმწიფო ტყის ფონდის იმ უბნების დადგენას, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს მთავარი სარგებლობის, სპეციალური, სოციალური და მოვლითი ჭრები;

გ) ტყის მოვლის, აღდგენისა და გაშენების ღონისძიებებს;

დ) გასატარებელი ღონისძიებების სახეების, მოცულობებისა და მეთოდების განსაზღვრას;

ე) ტყითსარგებლობის უბნების დადგენას და შესაძლო მოსაპოვებელი რესურსის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას.

3. სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობის დაგეგმვის შედეგად დგება ტყის მართვის ან ტყითსარგებლობის 10-წლიანი გეგმა.

4. ტყის მართვის გეგმას თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე ადგენენ ამ კოდექსის მე-16 მუხლით უფლებამოსილი ორგანოები, ხოლო ტყითსარგებლობის გეგმას ადგენს ტყითსარგებლობის გენერალური ლიცენზიის ან ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელი.

5. ტყის მართვისა და ტყითსარგებლობის გეგმების შედგენის წესი განისაზღვრება „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესით“.

მუხლი 25. სახელმწიფო ტყის ფონდის მონიტორინგი (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

1. სახელმწიფო ტყის ფონდის მონიტორინგი არის სახელმწიფო ტყის ფონდის შეფასების, მისი მდგომარეობის დინამიკაზე უწყვეტი დაკვირვების, ანალიზისა და პროგნოზირების სისტემა.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის მონიტორინგის მასალები აისახება ტყის მართვისა და ტყითსარგებლობის გეგმებში.

3. სახელმწიფო ტყის ფონდის მონიტორინგის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაცია მიეწოდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატს).

4. სახელმწიფო ტყის ფონდის მონიტორინგს თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე ახორციელებენ ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები, აგრეთვე ტყითსარგებლობის გენერალური ლიცენზიის ან ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელი.

5. სახელმწიფო ტყის ფონდის მონიტორინგის წესი განისაზღვრება „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესით“.

მუხლი 26. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 27. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 28. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 29. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 30. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

## თავი IX

### სახელმწიფო ტყის ფონდის

### სახელმწიფო ტყის ფონდის მართვა

(6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 31. სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის

განსაკუთრებული მოთხოვნები (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

ნებისმიერი ცვლილება, რომელიც მიმართულია სახელმწიფო ტყის ფონდის შემცირებისაკენ, დასაბუთებული უნდა იყოს.

მუხლი 32. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 33. სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

1. აუცილებლობის შემთხვევაში ან მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა შეიძლება საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

2. სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლებას სახელმწიფო ტყის ფონდში და დაცულ ტერიტორიებზე იქ, სადაც დაშვებულია სპეციალური მიზნით ტყითსარგებლობა, ანიჭებს სამინისტრო დაინტერესებულ პირებთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

3. გადაწყვეტილებას ამ კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 69-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გაცემისა და ამ ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე იღებს საქართველოს მთავრობა ამავე კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

4. სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულების მიწებზე სატყეო-სამეურნეო სამუშაოებს მართავს ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი შესაბამისი ორგანო, ხოლო სპეციალური მიზნით – ტყითმოსარგებლე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

5. სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის სამართლებრივი მოთხოვნები განისაზღვრება „ტყითსარგებლობის წესით“.

მუხლი 34. სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების სამეურნეო მიზნით გამოყოფა

1. სანერგეების მოწყობის, ტყის კულტურების, ბაღებისა და პლანტაციების გაშენების, სატყეო-სამეურნეო გზების მშენებლობისა და სხვა სამეურნეო მიზნით სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების გამოყოფა ხორციელდება ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

2. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

## თავი X

### მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა სახელმწიფო ტყისფონდის მართვაში მონაწილეობა

მუხლი 35. მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა სახელმწიფო ტყის ფონდის მართვაში მონაწილეობა

1. მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ:

ა) მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის მდგომარეობის შესახებ;

ბ) მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის დაგეგმვის ყველა ღონისძიებაში ნებისმიერ ეტაპზე.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის მართვისას „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული გადაწყვეტილებების მიღებაში მოსახლეობის მონაწილეობა წესრიგდება იმავე კანონის შესაბამისად. (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

(2. სახელმწიფო ტყის ფონდის მართვისას გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა წესრიგდება იმავე კოდექსის შესაბამისად. (1.06.2017 N900 ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან))

3. სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე სახელმწიფო ორგანო იწყებს საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას გრძელვადიანი ტყით სარგებლობისათვის წინასწარ შერჩეული სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების ადგილმდებარეობისა და მოსაჭრელი მერქნული რესურსების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ; აღნიშნული ინფორმაცია განთავსდება სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე სახელმწიფო ორგანოს ვებგვერდზე. (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 36. სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოების პასუხისმგებლობა

1. ამ კოდექსის 35-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოები უზრუნველყოფენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვას.

2. ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები, ამ კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ინფორმაციის გამოქვეყნების გარდა, აგრეთვე უზრუნველყოფენ:

ა) სახელმწიფო ტყის ფონდის მდგომარეობის შესახებ სხვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევების გარდა;

ბ) ტყისა და მისი რესურსების მნიშვნელობის შესახებ საქართველოს მოსახლეობის ინფორმირების მიზნით სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას. (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

### კარი III ტყის დაცვა

#### თავი XI საქართველოს ტყის ფონდის დაცვის ზოგადი საფუძვლები

მუხლი 37. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის ფიზიკური დაცვა (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

1. სახელმწიფო ტყის ფონდის დაცვა მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის ფიზიკურ დაცვას უკანონო ტყითსარგებლობისაგან, ტყის რესურსების დატაცებისაგან.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის ფიზიკური დაცვის ღონისძიებები იგეგმება სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვისა და მონიტორინგის საფუძველზე.

3. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის ფიზიკური დაცვის ღონისძიებებს გეგმავენ და ახორციელებენ შესაბამისად ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები ან მათი ზედამხედველობით – ფიზიკური ან იურიდიული პირები.

4. აკრძალულია ხე-ტყის პირველადი გადამუშავება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე.

მუხლი 37<sup>1</sup>. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაცვა (25.07.2006 N3518)

აკრძალულია ხე-ტყის პირველადი გადამუშავება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე.

მუხლი 38. სახელმწიფო ტყის ფონდის დაცვის რეჟიმი

1. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის მდგომარეობის, მისი ბიომრავალფეროვნების, ხელუხლებელი ტყეების თვითმყოფადობის შენარჩუნების, მცენარეთა რელიქტური, ენდემური და სხვა ძვირფასი სახეობების დაცვის მიზნით, ტყის პრიორიტეტული ფუნქციური დანიშნულების, ისტორიული, კულტურული და სხვა ღირებულებების მიხედვით დგინდება სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის დაცვის საერთო ან განსაკუთრებული რეჟიმი.

2. საქართველოს დაცული ტერიტორიების დაცვის რეჟიმი დგინდება "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით.

მუხლი 39. დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

1. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, სადაც მოქმედებს დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი, აკრძალულია მთავარი სარგებლობის ჭრების განხორციელება.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე დაცვის განსაკუთრებულ რეჟიმს ადგენენ ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები.

3. ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის დადგენისა და ამ რეჟიმში ღონისძიებების განხორციელების წესი დგინდება „ტყითსარგებლობის წესით“, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

მუხლი 40. დაცვის საერთო რეჟიმი

სახელმწიფო სამეურნეო ტყეებსა და მიწებზე, სადაც მოქმედებს დაცვის საერთო რეჟიმი, ვრცელდება ამ კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი .

მუხლი 41. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 42. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 43. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

## თავი XII ტყის დაცვა

მუხლი 44. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 45. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 46. ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა

ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის, "ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ" საერთაშორისო კონვენციისა და საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის პრინციპებს. ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზანია ბიოსფეროს სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობების შენარჩუნება და გაუმჯობესება.

მუხლი 47. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 48. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 49. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

## კარი IV ტყითსარგებლობა

### თავი XIII ტყითსარგებლობის სისტემა

მუხლი 50. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 51. ტყითსარგებლობის სახეები (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

1. საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე შეიძლება განხორციელდეს ტყითსარგებლობის შემდეგი სახეები:

ა) ხე-ტყის დამზადება;

ბ) სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოება;

გ) ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების (თესლის, ნაყოფის, ძირკვის, ლაფნის, ფიჩხის, ნეკერის და სხვა) დამზადება;

დ) ტყის არამერქნული რესურსებით (სოკოებით, სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულით, სხვა ბალახეული, ბუჩქოვანი მცენარეებითა და მათი პროდუქტებით) სარგებლობა;

ე) სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობა;

ვ) სპეციალური და მიჩენის მიზნით სარგებლობა;

ზ) სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა;

- თ) საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა;
- ი) სამონადირეო მეურნეობის მოწყობა;
- კ) თევზის მეურნეობის მოწყობა;
- ლ) ნადირობა;
- მ) სახელმწიფო ტყის ფონდში მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა;
- ნ) არასასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა;
- ო) ცხოველთა თავშესაფრებისა და სანაშენების მოწყობა;
- პ) „ტყითსარგებლობის წესით“ განსაზღვრული სხვა საქმიანობა.

2. დასაშვებია ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ტყითსარგებლობის რამდენიმე სახის ერთდროულად განხორციელება.

3. დაუშვებელია სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის ერთსა და იმავე ადგილზე ერთი და იმავე შინაარსის ან/და ისეთი ტყითსარგებლობის უფლების მინიჭება, რომელიც არსობრივად ხელს უშლის ლიცენზიით განსაზღვრული ტყითსარგებლობის უფლების განხორციელებას.

4. ამ კოდექსის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს საპატრიარქოს უფლება აქვს, სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია გამოიყენოს სასულიერო, სარიტუალო ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა მიზნით.

მუხლი 52. ტყითსარგებლობის ვადები *(17.05.2011. N4677 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)*

საქართველოს ტყის ფონდი გაიცემა მოკლევადიანი (1 წლამდე, მათ შორის, სეზონური) და გრძელვადიანი (49 წლამდე) სარგებლობისათვის. გრძელვადიანი სარგებლობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვადაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობის თანხმობით, შესაძლებელია გაგრძელებულ იქნეს ტყის ფონდით სარგებლობის ვადა.

მუხლი 53. ტყითსარგებლობის უფლება და მისი განხორციელება *(6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)*

1. ტყითსარგებლობა ხორციელდება ტყითსარგებლობის გენერალური ლიცენზიით (შემდგომში – გენერალური ლიცენზია), სამონადირეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიებით (შემდგომში – სპეციალური ლიცენზია) და ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

2. ლიცენზირებას არ ექვემდებარება:

- ა) სოციალური ჭრების განხორციელება;
- ბ) სპეციალური ჭრების განხორციელება;
- გ) მოვლითი ჭრების განხორციელება.



3. ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ამ კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ტყითსარგებლობის სახეები „ტყითსარგებლობის წესის“ შესაბამისად შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე: (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

ა) ტყითსარგებლობის ხელშეკრულებით;

ბ) ხე-ტყის დამზადების ბილეთით;

გ) ტყის რესურსით სარგებლობის ბილეთით.

4. ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

5. ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

ა) ტყის ფონდის ტერიტორიაზე;

ბ) აღკვეთილში, დაცულ ლანდშაფტში, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე და ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე;

გ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე არსებულ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე;

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეში.

6. ნადირობის ობიექტებისათვის მიკუთვნებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალს „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი. (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

მუხლი 54. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

#### თავი XIV

#### ტყითსარგებლობის უფლების მოპოვება

მუხლი 55. ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 56. ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 57. ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 58. ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 59. ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 60. ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 61. ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 62. ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 63. ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 64. ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 65. ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 66. ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 67. ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

#### თავი XV

#### ხე-ტყის დამზადება

მუხლი 68. ხე-ტყის დამზადება (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

1. საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ტყის დამზადების მიზნით ხორციელდება მთავარი სარგებლობისა და გავლითი ჭრები, თუ უზრუნველყოფილია მერქნის თანაბარი და უწყვეტი მოპოვების პირობები ტყის სასარგებლო ბუნებრივი თვისებებისათვის ზიანის მიუყენებლად.

2. ხე-ტყის დამზადების მიზნით შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე გაწმენდითი, გამომწირვითი, სარეკონსტრუქციო, სანიტარიული, სოციალური და სპეციალური ჭრები.

3. მთავარი სარგებლობის, გაწმენდითი, გამომწირვითი, სარეკონსტრუქციო, სანიტარიული, გავლითი, სოციალური და სპეციალური ჭრები ხორციელდება „ტყითსარგებლობის წესით“ დადგენილი სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად.

4. საქართველოს ტყეებში ხე-ტყის დამზადება ხორციელდება 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე.

5. სპეციალური ჭრების განხორციელების შემთხვევაში 35 გრადუსისა და მეტი დაქანების ფერდობებზე ხე-ტყის დამზადება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობისას.

მუხლი 69. სახელმწიფო ტყის ფონდის 30-დან 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე ტყითსარგებლობის განხორციელების სპეციალური მოთხოვნები

1. სახელმწიფო ტყის ფონდის 30-დან 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე ხე-ტყის დამზადება დაიშვება მხოლოდ:

ა) წინასწარი სპეციალური გამოკვლევის შემდეგ;

ბ) საბაგირო და საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებით, ხოლო მოვლითი ჭრების განხორციელება \_ აგრეთვე ცოცხალი გამწევი ძალით;

გ) ხე-ტყის დამზადების პარალელურად ტყის აღდგენის ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის 30 გრადუსიდან 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე ხე-ტყის დამზადების სხვა აუცილებელი მოთხოვნები დგინდება აღრიცხვისა და მონიტორინგის მასალების საფუძველზე და მათი შესრულება სავალდებულოა. *(6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)*

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობები არ ვრცელდება განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობისას სპეციალური ჭრების განხორციელების შემთხვევაში. *(3.11.2009 N 1939)*

მუხლი 70. მთავარი სარგებლობის ჭრა

1. მთავარი სარგებლობის ჭრა ხორციელდება მერქნის მიღების მიზნით მხოლოდ ნიადაგდაცვით და წყალმარეგულირებელ ტყეებში, ჭალის ტყეების გარდა.

2. მთავარი სარგებლობის ჭრის სახეებია:

ა) პირწმინდა ჭრა;

ბ) თანდათანობითი ჭრა;

გ) ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრა;

დ) ნებით-ამორჩევითი ჭრა.

3. პირწმინდა ჭრა არის ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე არსებული ხეების რბილმერქნიან სახეობათა ერთდროული (პირწმინდა) მოჭრა, გარდა 20 წლამდე ასაკის

მოზარდი ხეებისა და ხორციელდება მხოლოდ ვაკე რელიეფის, ნოლიდან 5 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე.

4. თანდათანობითი ჭრა არის ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე ჭრების განხორციელება ხანგრძლივი პერიოდის (30-40 წლის) განმავლობაში და გულისხმობს ამ პერიოდში ტყის საბურველის თანდათანობით და თანაბრად შეთხელებას. თანდათანობითი ჭრა ხორციელდება 20 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე.

5. ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრა არის ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე ხანგრძლივი პერიოდის (20-40 წლის) განმავლობაში ამ უბნის ცალკეულ მცირე მონაკვეთებზე პირწმინდა ჭრა.

6. ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრის განსახორციელებლად მცირე მონაკვეთების შერჩევის და მათი გაფართოების ძირითადი პრინციპია ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე მათი თანაბარი განაწილება და ტყის ბუნებრივი განახლებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა. ჯგუფურ- ამორჩევითი ჭრა ხორციელდება 20 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე.

7. ნებით-ამორჩევითი ჭრა არის ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე არსებული მწიფე და მწიფეზე უხნესი, აგრეთვე სატყეო-სამეურნეო თვალსაზრისით მიზანშეწონილი სხვა ხეების თანდათანობით და მთელ უბანზე გადაანგარიშებით თანაბარი ჭრა.

მუხლი 71. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 72. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 73. ტყეკაფი (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

1. ამ კოდექსით გათვალისწინებული ჭრები ხორციელდება მხოლოდ გამოყოფილ ტყეკაფზე.

2. ტყეკაფის გამოყოფის წესი და პირობები დგინდება „ტყითსარგებლობის წესით“.

მუხლი 74. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

თავი XVI ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 75. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 76. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

თავი XVII ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 77. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 78. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

თავი XVIII ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

სახელმწიფო ტყის ფონდის არამერქნული  
რესურსებით სარგებლობა

მუხლი 79. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

თავი XIX ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

### სახელმწიფო ტყის ფონდით სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა

მუხლი 80 ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 81 ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

თავი XX ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 82. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

თავი XXI ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 83. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 84 ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

თავი XXII ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 85. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

თავი XXIII ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 86. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 87. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

### თავი XXIV

#### მოსახლეობის ტყეში ყოფნა

მუხლი 88. მოსახლეობის ტყეში ყოფნა

1. მოსახლეობის ტყეში ყოფნა ტყითსარგებლობად არ ითვლება.

2. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ტყის ბუნებრივი გარემოთი.

3. მოსახლეობას უფლება აქვს:

ა) იმყოფებოდეს და თავისუფლად გადაადგილდეს ტყეში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ბ) პირადი მოხმარების მიზნით შეაგროვოს ტყის არამერქნული რესურსები და ხის მეორეხარისხოვანი მასალები;

გ) ტყის ბუნებრივი თვისებები გამოიყენოს დასვენების, ტურიზმისა და ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით.

4. მოსახლეობა ვალდებულია:

ა) გაუფრთხილდეს ტყეს და დაიცვას მისი სიმდიდრე;

ბ) დაიცვას ტყეში სახანძრო უსაფრთხოების წესები, არ დაუშვას ხეებისა და ბუჩქნარების მტვრევა და გაჩეხვა, ტყის კულტურების დაზიანება, ტყის დანაგვიანება და სხვა ისეთი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს ბუნებრივ გარემოს.

5. მოსახლეობის ტყეში ყოფნა, მის მიერ ტყის არამერქნული რესურსების შეგროვება და სახელმწიფო ტყის ფონდთან დაკავშირებული მისი სხვა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს შესაბამისად ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოების, აგრეთვე მათი ტერიტორიული ორგანოების მიერ ამ კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## თავი XXV

### ტყითსარგებლობის ზოგიერთი თავისებურება

მუხლი 89. ტყითსარგებლობის თავისებურება სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში ტყითსარგებლობა სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში ხორციელდება ამ კოდექსის და "საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 90. ტყითსარგებლობა წყალდაცვით ზოლში ტყითსარგებლობა წყალდაცვით ზოლში ხორციელდება "წყლის შესახებ" საქართველოს კანონის და საქართველოს საზღვაო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

თავი XXVI ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 91. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 92. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

## თავი XXVII

### მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოძრაობისა და პირველადი გადამუშავების ზოგადი მოთხოვნები (17.05.2011. N4677 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)

მუხლი 93. მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოძრაობისა და პირველადი გადამუშავების ზოგადი მოთხოვნები (17.05.2011. N4677 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)

1. ხე-ტყის მოძრაობის, მარკირებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების სავალდებულო მოთხოვნები განისაზღვრება „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით. (19.04.2013. N567) (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე მოპოვებულ ხე-ტყეზე შესაბამისი ხე-ტყის წარმოშობის

დოკუმენტს გასცემს სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე შესაბამისი ორგანო. ამავე წესის შესაბამისად, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი გაიცემა თვითმმართველი ერთეულისა და კერძო საკუთრების ტერიტორიებზე არსებული ხე-მცენარეებიდან მიღებული მერქნული რესურსის ტრანსპორტირებისა და პირველადი გადამუშავების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული საქონლის (მერქნული რესურსის) ადგილწარმოშობის ცნობის საფუძველზე. (19.04.2013. N567) (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

3. იმ ხე-ტყის ტრანსპორტირება ან პირველადი გადამუშავება, რომელსაც ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით დადგენილ შემთხვევებში არ აქვს შესაბამისი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი, აგრეთვე იმ მრგვალი ხე-ტყის (მორის) ტრანსპორტირება ან პირველადი გადამუშავება, რომელიც დადგენილი წესით არ არის მარკირებული სპეციალური ფირნიშით, იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (19.04.2013. N567) (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

4. აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სოციალური ჭრის შედეგად მოპოვებული ხე-ტყის, ასევე მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის ნებისმიერი ფორმით გასხვისება.

მუხლი 93<sup>1</sup>. მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყით სარგებლობასთან, ხე-ტყის მოძრაობასთან და პირველად გადამუშავებასთან დაკავშირებული ღონისძიებების აღრიცხვის მიზნით იქმნება მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის წარმოების ინსტრუქციას კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი. მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემას აწარმოებენ ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით გათვალისწინებული საქართველოს ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოები, აგრეთვე სხვა შესაბამისი პირები მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 94. ტყის ნებაყოფლობითი სერტიფიცირება

1. დასაშვებია ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ ტყის, მისი რესურსებისა და საქართველოს ტყის ფონდის მართვის ღონისძიებების ნებაყოფლობითი სერტიფიცირება.

2. ტყის ნებაყოფლობითი სერტიფიცირების წესი განისაზღვრება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კარი V  
ტყის აღდგენა და მოვლა

## თავი XXVIII ტყის აღდგენა

მუხლი 95. საქართველოს ტყის ფონდის აღდგენა და მისი მიზანი

1. საქართველოს ტყის ფონდის აღდგენა არის სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა მრავალწლიანი ციკლი, რომლის მიზანია ტყის ფონდის ტყით დაუფარავ ფართობებზე და დაბალი სიხშირის კორომებში ტყის აღდგენა და გაშენება.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენის ღონისძიებებს, არსებული საშუალებების გათვალისწინებით, ტყის ფონდის აღრიცხვისა და მონიტორინგის მასალებისა და სხვა სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე გეგმავენ შესაბამისად ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები. (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

3. საქართველოს ტყის ფონდის აღდგენისა და გაშენების ღონისძიებები ხორციელდება ისეთი ფორმებითა და მეთოდებით, რომლებიც ზიანს არ აყენებს გარემოს.

4. ტყის აღდგენის ღონისძიებებია:

ა) ქვეტყის გამოხშირვა ან მთლიანად მოცილება, ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის მიზნით ჭრაგავლილი უბნების, ტყისპირისა და სუბალპური მეჩხერი ტყეების მოვლა, დაცვა და გაწმენდა, დარგვა, თესვა;

ბ) ღონისძიებები, რომელთა მიზანია მეჩხერი ტყეების სახეობრივი შემადგენლობის, ხნოვანებითი სტრუქტურის, ხარისხის, პროდუქტიულობის, დაცვითი და სხვა სასარგებლო ფუნქციების გაუმჯობესება.

მუხლი 96. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

## თავი XXIX ტყის მოვლა

მუხლი 97. ტყის მოვლა და მისი მიზანი (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

1. ტყის მოვლა არის ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია:

ა) საქართველოს ტყეებში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, ტყეების ხნოვანებითი სტრუქტურის, სახეობრივი შემადგენლობისა და ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, მდგრადი და მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება;

ბ) ნიადაგის ნაყოფიერების ზრდა, წყლითა და ქარით გამოწვეული ნიადაგის ეროზიის, დაჭაობების, დამლაშების, ღვარცოფების, თოვლის ზვავებისა და სხვა ისეთი პროცესების თავიდან აცილება, რომლებიც აუარესებს ნიადაგის მდგომარეობას;

გ) ხელუხლებელი ტყეების თვითმყოფადობის შენარჩუნება, მცენარეთა რელიქტური, ენდემური და სხვა ძვირფასი სახეობების დაცვა;

დ) ტყის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება;

ე) ენტომომავნებლებთან და ფიტოდაავადებებთან ბრძოლა, აგრეთვე ტყის ხანძრების თავიდან ასაცილებლად პრევენციული ქმედებების განხორციელება.

2. ტყის მოვლის ღონისძიებებია:

- ა) ტყის ბიოლოგიური, ქიმიური და სელექციური საშუალებებით დაცვა;
  - ბ) ტყეების პათოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე ტყის დაცვა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის გამომწვევი დაავადებებისა და მავნებლების გავრცელებისაგან;
  - გ) მოვლითი ჭრების განხორციელება;
  - დ) ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება;
  - ე) ტყეების ჩახერგილობისაგან გაწმენდა.
3. ტყის მოვლის ღონისძიებები იგეგმება აღრიცხვისა და მონიტორინგის მასალებისა და სხვა სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე.
4. ტყის მოვლის ღონისძიებებს ახორციელებენ შესაბამისად ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები, აგრეთვე მათთან შეთანხმებით – ფიზიკური და იურიდიული პირები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიას ხანძარსაშიში უბნის სტატუსს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით ანიჭებს ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი ორგანო აღრიცხვისა და მონიტორინგის მასალების საფუძველზე.
6. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხანძრის ლიკვიდაციას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო ტყის ფონდის შესაბამისი უბნის მართვის უფლების მქონე ორგანოს და ტყითმოსარგებლის მონაწილეობით.
7. ტყის მოვლის მიზნით ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებების გამოყენების უფლებას ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ანიჭებენ ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები.
8. ტყის ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებებით დაცვის ზედამხედველობასა და კონტროლს თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე ახორციელებენ ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები.

მუხლი 98. ტყის სუბალპური ზოლის მოვლა და დაცვა (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

- 1. ტყის სუბალპურ ზოლში აკრძალულია ხე-ტყის დამზადება, გარდა მავნებლებით დასახლებული ზეხმელი ხეების მოჭრისა და მიწაზე დაყრილი მოთხრილ-მოტეხილი ხე-ტყის დამზადებისა.
- 2. ტყის სუბალპური ზოლის მოვლის ღონისძიებაა ტყის აღდგენა ბუნებრივი განახლების ხელშეწყობით.

თავი XXX  
მოვლითი ჭრა

მუხლი 99. მოვლითი ჭრის სახეები  
კორომთა ხნოვანებისა და ფუნქციური დანიშნულების მიხედვით განისაზღვრება მოვლითი ჭრის შემდეგი სახეები:

- ა) განათებითი;
- ბ) გაწმენდითი;
- გ) გამოხშირვითი;
- დ) გავლითი;
- ე) სანიტარიული;



ვ) სარეკონსტრუქციო.

მუხლი 100. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 101. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 102. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 103. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 104. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 105. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 106. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

თავი XXXI ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 107. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

## კარი VI

### საქართველოს ტყისა და ტყის კანონმდებლობის დაცვის სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა

## თავი XXXII

### საქართველოს ტყისა და ტყის კანონმდებლობის დაცვის სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა

მუხლი 108. საქართველოს ტყისა და ტყის კანონმდებლობის დაცვის სახელმწიფო კონტროლი (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

ტყეების მდგომარეობის, სახელმწიფო ტყის ფონდის მოვლის, დაცვის, აღდგენისა და გაშენების, აგრეთვე ტყითსარგებლობის სახელმწიფო კონტროლს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი დაწესებულებები.

მუხლი 109. ტყის დაცვის მუშაკის სტატუსი

1. ტყის დაცვის მუშაკი ატარებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სპეციალური ფორმის ტანსაცმელს შესაბამისი თანამდებობრივი განმასხვავებელი ნიშნებით.

2. ტყის დაცვის მუშაკს უფლება აქვს:

ა) აღკვეთოს და აიცილოს ამ კოდექსის მოთხოვნათა დარღვევები;

ბ) შეამოწმოს ფიზიკური და იურიდიული პირების ტყითსარგებლობის დოკუმენტები;

გ) შეადგინოს ოქმი საქართველოს ტყის კანონმდებლობის დარღვევების შესახებ;

დ) ტყის პროდუქტების მოპოვების კანონიერების დადგენის მიზნით გააჩეროს სატრანსპორტო საშუალებები და მოახდინოს მათი დათვალიერება;

ე) ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს ხე-ტყისა და ტყის სხვა რესურსების ჩამორთმევა ტრანსპორტირების, შენახვისა და პირველადი გადამამუშავების ადგილებზე;

ვ) შეაჩეროს, შეწყვიტოს და აკრძალოს ტყითმოსარგებლეთა სამეურნეო ან სხვა საქმიანობა, თუ იგი არ შეესაბამება ტყითმოსარგებლობის დოკუმენტს;

ზ) ატაროს სამსახურებრივი საშტატო იარაღი;

თ) თუ პირი სადაოდ არ ხდის მის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს, ნებაყოფლობით აანაზღაურებინოს სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანი.

3. ტყის დაცვის მუშაკი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს:

ა) ტყის მდგომარეობასა და მის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაზე;

ბ) საქართველოს ტყის კანონმდებლობის დარღვევაზე.

მუხლი 110. ტყის დაცვის მუშაკთა სტიმულირება

1. ტყის დაცვის მუშაკთა სტიმულირების ღონისძიებებია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით "საქართველოს დამსახურებული მეტყევის" წოდების მინიჭება;

ბ) ტყის დაცვის სფეროში 10 წლით და მეტი ვადით წარმატებით მუშაობისათვის სპეციალური სამკერდე ნიშნით დაჯილდოება.

2. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

## კარი VII

**დავების გადაწყვეტა ტყის მოვლის, დაცვის, აღდგენის, გაშენების და გამოყენების სფეროში და პასუხისმგებლობა ტყის კანონმდებლობის დარღვევისათვის**

## თავი XXXIII

**დავების გადაწყვეტა ტყის მოვლის, დაცვის, აღდგენის, გაშენების და გამოყენების სფეროში**

მუხლი 111. დავების გადაწყვეტა ტყის მოვლის, დაცვის, აღდგენის, გაშენების და გამოყენების სფეროში

ტყის მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასთან, გაშენებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი XXXIV

**პასუხისმგებლობა საქართველოს ტყის კანონმდებლობის დარღვევისათვის**

მუხლი 112. პასუხისმგებლობა საქართველოს ტყის კოდექსის დარღვევისათვის  
პასუხისმგებლობა საქართველოს ტყის კოდექსის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 113. პასუხისმგებლობა საქართველოს ტყის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის

1. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან, ამ კოდექსის 114-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვასთან ერთად, სრულად აანაზღაურონ ტყის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანი ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, აღადგინონ დაზიანებამდე არსებული მდგომარეობა.

2. **ამოღებულ იქნეს** (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 114. **ამოღებულ იქნეს** (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

## კარი VIII გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

### თავი XXXV გარდამავალი დებულებანი

მუხლი 115. **ამოღებულ იქნეს** (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

მუხლი 116. ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები და გამოსაცემი ნორმატიული აქტები

ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით:

ა) ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

ბ) ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

გ) ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

დ) ამოღებულია (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)

ე) მიღებულ იქნეს საქართველოს მთავრობის შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები: (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

ე.ა) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესი“;

ე.ბ) „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესი“;

ე.გ) „ტყითსარგებლობის წესი“;

ე.დ) „ტყის მოვლისა და აღდგენის წესი“;

ე.ე) „საქართველოს დამსახურებული მეტყევის წოდების მინიჭების წესი“;

ვ) **ამოღებული იქნეს** (17.05.2011. N4677 ამოქმედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან.)

ზ) **ამოღებულ იქნეს** (25.03.2013. N465 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

მუხლი 117. ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების მიღების/გამოცემის ვადები (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

ამ კოდექსის 116-ე მუხლის:

ა) „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტები მიღებულ იქნას 2010 წლის 1 სექტემბრამდე;

ბ) „ბ.გ“, „ბ.დ“, „ბ.ვ“ და „დ.ა“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ კოდექსის 116-ე მუხლის „ე.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტის მიღებამდე;

გ) „ბ.ე“, „გ.ბ“, „დ.ბ“ და „დ.გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ კოდექსის 116-ე მუხლის „ე.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტის მიღებამდე;

დ) „ბ.ბ“, „ბ.ვ“, „ბ.ზ“, „ბ.თ“, „გ.ვ“, „დ.თ“, „დ.ი“, „დ.კ“, „დ.ლ“, „დ.მ“, „დ.ო“, „დ.პ“ და „დ.ჟ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ კოდექსის 116-ე მუხლის „ე.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტის მიღებამდე;

ე) „გ.ა“, „გ.ბ“, „გ.დ“, „დ.დ“, „დ.ე“, „დ.ვ“, „დ.ზ“ და „დ.ნ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ კოდექსის 116-ე მუხლის „ე.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტის მიღებამდე;

ვ) „ბ.ი“ ქვეპუნქტში აღნიშნული ნორმატიული აქტი ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ კოდექსის 116-ე მუხლის „ე.ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტის მიღებამდე;

ზ) „დ.რ“ ქვეპუნქტში აღნიშნული ნორმატიული აქტი ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ კოდექსის 116-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტის გამოცემამდე.

მუხლი 118. ამოღებულ იქნეს (6.07.2010. N3346 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.)

## თავი XXXVI დასკვნითი დებულებანი

მუხლი 119. ნორმატიული აქტები, რომლებიც ძალას კარგავს საქართველოს ტყის კოდექსის ამოქმედებისთანავე

ამ კოდექსის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) 1978 წლის 21 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს ტყის კოდექსი;

ბ) ”საქართველოს ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონი.

მუხლი 120. საქართველოს ტყის კოდექსის ამოქმედება

1. საქართველოს ტყის კოდექსი, მე-9 მუხლის პირველი ნაწილის გარდა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი ამოქმედდეს ”საქართველოს სახელმწიფო ტყის განსახელმწიფოებრივების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძე

თბილისი,

1999 წლის 22 ივნისი.  
N 2124 - II ს